ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ე 698-15

"08" 10 2015 წ.

დადგენილება №000604
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

08.10.2015წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კახა ცეცხლაძემ განვიხილე 2015 წლის 24 სექტემბრის №000604 მითითება და 2015 წლის 07 ოქტომბრის №000604 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "არტპალასი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №406076561, დირ. მაკა შაგულიძე (პირადი №20001013391, მის: ქ. თბილისი, გიორგი საკაძის II გასასვლელი №4) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, სოფ. დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.032.179) შ.პ.ს. "არტპალასი"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობების (ავტოფარეხი, სამრეცხაო, ავტოსერვისი, საამქრო, საწყობი და ადმინისტრაციის ოფისი) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1617443 AR1255720 28.11.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით:

შენობა №1 – „1-8" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „6-7" მონაკვეთში გაუქმებულია კარის ღიობი; „7-8" მონაკვეთში გამოსაღები კარის ნაცვლად მოწყობილია ჟალუზი; ±0.00 ნიშნულზე ცოკოლი ნაწილობრივ გამოსულია ფასადის სიბრტყიდან და შეფითხნულია. დამატებულია სახურავიდან გამომავალი წყალშემკრები მილები. აღნიშნულ ფასადზე ფანჯრებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილი და შეცვლილია მათი გაბარიტი. ±0.00 ნიშნულზე „5-6" მონაკვეთში შეცვლილია კარის გაბარიტი. „ა-ბ" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე თუნუქის გასაწვეი კარის ნაცვლად მოწყობილია ორფრთიანი კარი, რომელსაც შეცვლილი აქვს გაბარიტი და მონაცვლებულია „ა-ა" ღერძიდან „ბ-ბ" ღერძის მიმართულებით. ასევე ±0.00 ნიშნულზე „ბ-ბ" და „1-1"ღერძების გადაკვეთასთან შენობის გარეთ დამატებულია კოლონა. „ბ-ა" ფასადი: +4.70 ნიშნულზე „6-6" ღერძზე „ა-ა" ღერძის მიმდებარედ მოწყობილია რკინის კარი. ±0.00 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია ბაქნის დონე. „1-1" და „ბ-ბ" ღერძების მიმდებარედ კიბესთან დამატებულია ბაქანი და გაზრდილია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

საფეხურების რაოდენობა. „7-8" მონაკვეთში გაუქმებულია ტექნიკური ორმო. „1-6" და „ბ-ა" მონაკვეთების კვეთაზე სართული გაზრდილია სიმაღლეში. „1-1" ღერძზე ნაწილობრივ გასქელებულია კედელი. +4.70 და +6.60 ნიშნულებზე შენობის პერიმეტრზე დამატებით მოწყობილია პარაპეტი. +3.20 ნიშნულზე „6-6" ღერძზე „ა-ა" ღერძის მიმდებარედ მოწყობილია ბეტონის საფეხურები. შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია რიგელის სიმაღლეები.

შენობა №2 – „1-7" ფასადი: დამატებულია და ასევე გაუქმებულია კარის და ფანჯრის ღიობები. არსებულ ღიობებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია მათი გაბარიტი, აგრეთვე შეცვლილია კარის და ფანჯრის ნახატი. აღნიშნულ ფასადზე დამატებულია სახურავიდან გამომავალი წყალშემკრები მილები. ფასადი „გ-ა": ფასადზე დამატებულია ოთხი სხვადასხვა ზომის ფანჯარა. ფასადი „ა-გ": ფანჯრებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია მათი გაბარიტი. ასევე +4.13 ნიშნულზე „ა-ა" ღერძთან დამატებულია ფანჯარა. +6.20 ნიშნულზე „ა-ა" ღერძის მიმდებარედ დამატებულია სახურავზე გასასვლელი რკინის კარი. ±0.00 ნიშნულზე „6-7" მონაკვეთში შეცვლილია კიბის ადგილმდებარეობა და კონფიგურაცია. „1-2" მონაკვეთში გაუქმებულია კიბის უჯრედი. +4.70 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში „ა-ა" ღერძის მიმდებარედ სართულშუა გადახურვის ფილაში დამატებულია ღიობი. შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია სართულების სიმაღლე. „5-6" მონაკვეთში „5-5" და „ბ-ბ" ღერძის კვეთასთან მოწყობილია მონოლითური კიბე. +4.70 ნიშნულზე „1-1", „5-5" და „ბ-ბ" ღერძების კვეთაზე დამატებულია კოლონები. „6-7" მონაკვეთში +3.10 ნიშნულიდან რიგელი გადაადგილებულია +2.28 ნიშნულისკენ. ასევე „5-6" და „ა-გ" მონაკვეთების და „1-2" და „ბ-გ" მონაკვეთების კვეთაზე დამატებით მოწყობილია ანტრესოლები და სართულზე გაზრდილია ფართი. ნაწილობრივ დამატებულია რიგელები. +8.10 ნიშნულზე დაშენებულია კაპიტალური ნაგებობა. +6.20 და +8.10 ნიშნულებზე შენობის მთელ პერიმეტრზე მოწყობილია პარაპეტი. ასევე შენობებს შორის და შენობა №1-ის და №2-ის ფასადებზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2015 წლის 24 სექტემბერს შედგენილ იქნა მითითება №000604, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 14 (თოთხმეტი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2015 წლის 07 აგვისტოს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000604, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. საქმეშია, მხარის №31440/12 24.09.2015წ. განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება სამსახურის №000604 24.09.2015წ. მითითებით დაფიქსირებულ დარღვევებს და მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "არტპალასი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სოფ. დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.032.179) შ.პ.ს. "არტპალასი"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობების (ავტოფარეხი, სამრეცხაო, ავტოსერვისი, საამქრო, საწყობი და ადმინისტრაციის ოფისი) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1617443

AR1255720 28.11.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "არტპალასი" დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "არტპალასი"-ს დაევალოს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "არტპალასი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილის მოვალეობის
შემსრულებელი ქ. ცეცხლაძე

საგადახდო დავალება
Payment Order

1

თარიღი/Date 13/10/2015

გადამხდელი/Payer ART PALACE LTD, 406076561, 406076561

გადამხდელის ანგარიში/Payer's Account GE17VT6600003833803602

გადამხდელის ბანკი/Payer's Bank სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"

ბანკის კოდი/Bank Code UGEBGE22

ინფორმაცია ფიზიკურ პირზე რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information about the person on behalf of which the payment is carried out

დასახელება/Denomination ART PALACE LTD, 406076561

საიდენტიფიკაციო კოდი/Identification Code 406076561

მიმღები/Receiver ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი
Beneficiary's Account/Treasury Code 300773263, 300773263

მიმღების ბანკი/ხაზინა
Beneficiary's Bank/Treasury საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახ

ბანკის კოდი/Bank Code TRESGE22

გადახდის დანიშნულება/Payment Purpose

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ -

დამატებითი ინფორმაცია/Additional Information

მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილება #

ხელმოწერები/Signatures

Place for Seal

თანხა/Amount

3,000.00 / GEL

თანხა სიტყვებით/Amount in words

სამიათასი ლარი და ნული თეთრი

three thousand lari and zero tetri

ბანკის აღნიშვნები/Bank Signs

ბანკში შემოსვლის თარიღი/Delivery Date into the Bank

13/10/2015

გატარების თარიღი/Transaction Date

13/10/2015

ხელმოწერა/Signature

შტამპის ადგილი
Place for Stamp

სს ვითიბი ბანკი ჯორჯია VTB
UGEBGE22
მიღებულია ინტერნეტ ბანკით
RECEIVED BY INTERNET BANKING

13/10/2015 12:56:52 PM

207537666